პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 247 (12455) | პარასკევი, 19 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდება საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისა და ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

ღირსეული შეხვედრა ოქტომბერს

ზეგეგმითი მარგანეცი

ჭიათურა. (საკ. კორ.). წინასოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მან საოქტომბრო მოწოდებების საპასუხოდ 15 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების 11 თვის დავალება.

მაღალნაყოფიერად მუშაობს კომუნისტური შრომის უბანი, რომელსაც ი. ყვავაძე უძღვება, ავტომეკანიკოსები გ. ქიტიაშვილისა და კ. პაპიძის უბნები, მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი დამსახურებული ინჟინრის ი. კაკაბაძის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო შრომითს ვახტზე ადგანან კომუნისტური შრომის დამკვრელი მაკაროელები ა. დვალიშვილი, უ. ბიწაძე, ბ. მაზათაძე, ფ. ყულაძე და ათეულობით სხვები, რომლებიც ცვლაში 5-10 ტონა ზეგეგმურ მარგანეცს იძღვიან.

მათი საჩუქარი

მცხეთა. (საკ. კორ.). შესანიშნავ წარმატებას აღწევს რკინიგზის მცხეთის ავტორის ქარხნის კოლექტივი (დირექტორი დ. კობახიძე), რომელიც წინასოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული. ქარხანამ მიმდინარე წლის ცხრა თვეში პროდუქციის გამოშვების გეგმა 105 პროცენტით გაანალდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 850 ათასი ცალი ნოყიერი ავური, ქარხანაში საკრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

დიადი დღესასწაულისათვის მზადების ამ სასიხარულო დღეებში დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მეავტურეები: პ. ბაიაშვილი, გ. დალაქიშვილი, შ. ჩანადირი, გ. გეურკიანი, კ. აზგელდიანი და მეეტსკავატორე ვ. სოლოვიოვი.

ხალხის უკვდავი გმირობა

საზეიმო კრება კრემლის ყრილოგათა სასახლეში

საბჭოთა ადამიანები ულრმესი მადლიერებით დიდ პატივს მიაგებენ 1812 წლის სამამულო ომის გმირებს, რომლებმაც დაიცვეს თავიანთი სამშობლოს სახელი და ღირსება, სიამაყით იხსენებენ ისინი რუსეთის არმიის, მოლაშქრეთა, პარტიზანთა, მთელი ხალხის გოლიათურ გმირობას, რომელმაც სისხლისმღვრელ ბრძოლაში ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ნაპოლეონის ურდოებზე.

18 ოქტომბერსაც ბოროდინოს ველზე გამართული ბრძოლისა და ბოროდინოს ბრძოლის პანორამის გახსნის შემდეგ გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად.

კრემლის ყრილობათა სასახლის უზარმაზარ დარბაზში მოვიდნენ დედაქალაქის საწარმოთა მუშები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, შეიარაღებული ძალების მეომრები.

დარბაზში ტაშმა იგრიალა, როცა პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები **ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი.**

ხალხის დიდი ვმირობის შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში ესრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მ. ხვოსტოვმა.

1812 წლის სამამულო ომი, თქვა მან, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე კაფიო, ამაღელვებელი ფურცელია. ჩვენს მიწა-წყალზე მუხანათურად შემოჭრილი ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ რომ ებრძოდნენ, რუსეთის ხალხთა მასებმა მთელ მსოფლიოს დაუდასტურეს, თუ რა დიდი განსაცდელის ატანა და მსხვერპლის გაღება შეუძლია ხალხს, როცა იგი იცავს თავის დამოუკიდებლობას, რა უსაზღვროდ დიდია მისი სულიერული სამშობლოსადმი, როგორებია მისი სიძულვილი უცხოელ დამპყრობთადმი.

1812 წელს ჩვენი ქვეყნის ხალხებს წ�ხვდათ ისტორიული მისია — წინააღდგომოდნენ აგრესორს, რომელიც მსოფლიო ბატონობას ესწრაფვოდა. ძნელ და შეუპოვარ ბრძოლაში, დიდ გაჭირვებასა და უბედურებაში, მათ არათუ დაიცვეს სამშობლო ნაპოლეონის ურდოებისაგან, არამედ შეასრულეს გადამწყვეტი როლი ნაპოლეონის ულლისაგან მთელი ევროპის განთავისუფლებაში. ეს იყო რუსეთის ხალხთა ნამდვილად დიდი გმირობა.

1812 წლის მოვლენები ახლა უკვე შორეული წარსულია. მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების არნახულ სიმაღლეებს რომ მივაღწიეთ, კოსმოსის პირველაღმომჩენები, წმიდად ვინახავთ ჩვენი ისტორიის მემკვიდრეობიდან ყოველივე გმირულს და პროგრესულს. ჩვენ გულმავიწყი ივახეები როდი ვართ. მშრომელ ხალხს, ისტორიის ჭეშმარიტ შემოქმედს, თავისი გვარტრომობა აქვს. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები არ ვიკიწყებდით და არასოდეს არ დავიკიწყებთ იმათ გმირობას, ვინც ამ საუკუნენახევრის წინათ სასტიკ ბრძოლებში დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა. 1812 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი და მისი გმირები აღტაცებასა და სიამაყეს იწვევენ საბჭოთა ადამიანებში, აგრეთვე ყველა ადამიანში, ვინც აძალად ებრძვის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში — ყველგან ჩვენს პლანეტაზე, ყველაზე, ვინც ებრძვის მშვიდობის შენარჩუნებისათვის დედამიწაზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, განაგრძო მომხსენებელმა, გვასწავლიდა, რომ ყოველგვარი ომი მიგვეჩნია როგორც პირდაპირი განგრძობა გაბატონებული ელსანების პოლიტიკისა. ომი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც მოამზადეს და გააჩაღეს 1812 წელს საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის რეაქციულმა ძალებმა, მისი აგრესიული პოლიტიკის პირდაპირი განგრძობა იყო. ლენინმა ღრმად გააანალიზა როგორც ნაპოლეონის დამპყრობლური პოლიტიკა, ისეგე ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლაც ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ. „როდესაც ნაპოლეონმა, — წერდა ლენინი, — საფრანგეთის იმპერია შექმნა და ევროპის მთელი რიგი ძველთაგანვე ჩამოყალიბებული, დიდი, სიცოცხლისუნარიანი ეროვნული სახელმწიფოები დაიმონა, მაშინ საფრანგეთის ეროვნული ომები იმპერიალისტურ ომებად გადაქცენენ და მათ **თავის მხრივ** გამოიწვიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები ნაპოლეონის იმპერიალიზმის **წინააღმდეგ**“ (ტომი 22, გვ. 391).

ომი რუსეთის წინააღმდეგ იყო ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო, მძარცველური ომი. საფრანგეთის ბურჟუაზია ცდილობდა გადაექცია რუსეთი ვასალურ ქვეყნად, მას უნდოდა მოეპარა მისი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თავის უღელქვეშ მოექცია მისი ხალხები. ამიტომ 1812 წლის ომში წყდებოდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების ძირეული საკითხი: იქნებოდა თუ არა იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო. უფრო მეტიც: ომის შედეგი მარტოოდენ რუსეთის მომავალს როდი განსაზღვრავდა. იგი მთელი ევროპის ბედს განსაზღვრავდა. ნაპოლეონმა იცოდა, რომ რუსეთის — მისი ვრცელი ტერიტორიისა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის — დაპყრობა გაცილებით მეტ ძალებსა და სახსრებს მოითხოვდა, ვიდრე ის ომები, რომლებსაც იგი მანამდე აწარმოებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. რუსეთის მიმართ თავისი დამპყრობლური გეგმების განსახორციელებლად ნაპოლეონმა საფრანგეთსა და მის მიერ დამონებულ ქვეყნებს გამოსწოვა უველაფერი, რაც საჭირო იყო ახალი ლაშქრობისათვის. მან მოიმარაგა რუსეთზე შესევისათვის თითქმის მთელი ევროპის რესურსები — ისევე როგორც ეს გაკეთა უფრო გვიან, უკვე ჩვენს საუკუნეში, მეორე დამპყრობმა — ფაშისტმა ჰიტლერმა, როცა იგი აშზადებდა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

23 ივნისს ღამით 600 ათასიანზე მეტი ფრანგთა არმია ომის გამოუცხადებლად ვერაგულად შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. იმ დროს ეს არნახული ძალა იყო. ნაპოლეონმა რუსეთის წინააღმდეგ დაძრა უზარმაზარი არმია და ფიქრობდა მოკლე ვადაში დაემთავრებინა ომი. იგი ხელმძღვანელობდა თავისი სამხედრო დოქტრინით — ერთ-ორ გენერალურ ბრძოლაში გაენადგურებინა მოწინააღმდეგის არმია და ამით გადაეწყვიტა მთელი ომის ბედი. „ერთი თვეც არ გავა, რომ ჩვენ მოსკოვში ვიქნებით“, — ამბობდა ნაპოლეონი. რუსეთის წინააღმდეგ ომის მისი სტრატეგიული გეგმა „ელვისებური ომის“ თავისებური გეგმა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდა უფრო გვიან ჩვენს წინააღმდეგ მეორე აგრესორი — ჰიტლერი, რომელიც კიდევ, უფრო სამარცხვინოდ დამარცხდა ჩვენი მშობლიური ქვეყნის ველებზე.

ომი დაიწყო რუსეთისათვის მეტად არახელსაყრელ სტრატეგიულ ვითარებაში, როცა მეტისმეტად ცუდი იყო ძალთა თანაფარდობა. ეს მოხდა ძირითადად მეფის რეჟიმის გამო. მეფის მთავრობამ არ მოამზადა თავისი ქვეყანა თავდაცვისათვის. რუსეთის დასავლეთ საზღვრებს სრულიად არასაკმაო ძალები იცავდნენ. იქ თავმოყრილი იყო 20 ათასზე ცოტა მეტი კაცი, რომლებიც გაბნეული იყვნენ ფართო ფრონტზე და დაყოფილი — სამარმად ისე, რომ არ იყო ჯეროვნად უზრუნველყოფილი ურთიერთმოქმედება მათ შორის. ყოველივე ამან რუსეთის არმიას შეუქმნა განსაკუთრებული სიძნელეები და ომის დასაწყისში ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი ტერიტორიის დათმობა. რუსეთის ჯარების უკანდახევა, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა მარქსი, „თავისუფალ არჩევანი კი არ იყო, არამედ მკაცრი აუცილებლობა“.

მომხსენებელმა დაახასიათა 1812 წლის სამამულო ომის მიმდინარეობა, გაჰყო იგი ორ პერიოდად — თავდაცვითი მოქმედების პერიოდად და რუსეთიდან ნაპოლეონის არმიის განდევნისა და აგრესორთა სრული განადგურების პერიოდად. ნაპოლეონის ძირითადი შეცდომა იყო მისი ვარაუდი, რომ რუსეთში, ისევე როგორც დასავლეთში, ფრანგთა არმიებს წინააღმდეგობას გაუწევენ მხოლოდ რეგულარული ჯარები. სინამდვილეში კი აგრესორი წააწყდა მთელი ხალხის წინააღმდეგობას.

რუსეთის ხალხებისათვის ომმა თავიდანვე განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი მიიღო. ხალხთა მასებმა თავანმთი უშეცდომო ალღოთი შეიგნეს, თუ რა სამნელი მონობის უღელი მოჰკონდა ნაპოლეონის შემოჭრას. ამან გააღვიძა უდიდესი ენერგია და დაუშრეტელი ძალა. ამან განსაზღვრა აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლის უკომპრომისო ხასიათი, ხალხთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში, არმიისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარება. მთელი ხალხი, მართლაც მთელი ხალხი, აღსდგა წმიდათა წმიდა სამამულო ომისათვის. ომში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი აქტიური ფორმა იყო სახალხო ლაშქრობები. რუსეთის სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც განმსჭვალული იყვნენ უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს დაცვის კეთილშობილური მისწრაფებით, მასიურად შეიიარღნენ მოლაშქრეთა რიგებში. მოკლე ვადაში ლაშქარი მოწინააღმდეგისათვის მრისხანე ძალად იქცა: მის შემადგენლობაში 300 ათასამდე კაცი იყო.

რუსეთის სიღრმეში ნაპოლეონის არმიის წინსვლას კვალობაზე ფართოვდებოდა და იზრდებოდა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი პარტიზანების ბრძოლა.

მომხსენებელი შეეხო ბოროდინოს ბრძოლას — 1812 წლის სამამულო ომის უდიდეს მოვლენას. იგი დაიწყო 7 სექტემბერს ამჟამად ცნობილ რუსული დიდების ველზე. აქ პატარა ველზე შეებნენ ერთმანეთს 120 ათასი რუსი და 135 ათასიანი ფრანგთა ჯარი. რუსების არმიამ, რომელსაც გამოჩენილი მხედართმთავარი მ. ი. კუტუზოვი მეთაურობდა, შეუპოვარ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაფანტა მითი ნაპოლეონის არმიის უძლეველობის შესახებ.

ბოროდინოს ბრძოლამ მნიშვნელოვნად წინასწარ განსაზღვრა რუსეთის გამარჯვება ომში. თვითონ ნაპოლეონი იძულებული იყო ეღიარებინა: ორმოცდათი ბრძოლიდან, რომლებიც მე ქონდა, ბრძოლაში მოსკოვთან გამოვიჩინეთ ყველაზე მეტი მამაცობა და მივაღწიეთ ყველაზე ნაკლებ წარმატებას..., რუსებმა ამ დღეს მოიხვეჭეს უფლება უძლეველი ეწოდებოდეთ“.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საკდესის ცნობა

ამა წლის 16 და 17 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა კოსმოსური ობიექტების ახალი ვარიანტის მრავალსაფეხურიანი მატარებელი რაკეტის წარმატებით გაშვება წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილის რაიონში 12 ათას კილომეტრზე მეტ სიშორეზე.

რაკეტის ფრენა და ყველა საფეხურის მოქმედება დასახული პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობდა.

მატარებელი რაკეტების უკანასკნელისწინა საფეხურების მაკეტებმა წყლის ზედაპირს მიაღწია უშუალოდ ახლოს დავარდნის გათვალისწინებულ წერტილთან.

გამოცდის კარგ შედეგებთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამა წლის 18 ოქტომბრიდან 1-ელი რაიონი, რომელიც შემოფარგლულია საკდესის 1962 წლის 16 ოქტომბრის ცნობაში აღნიშნული კოორდინატებით:

ჩრდილოეთის განედი		დასავლეთის გრძედი	
6°	52′00 „	165°	25′00 „
5°	10′00 „	164°	36′30 „
4°	21′30 „	166°	16′30 „
6°	07′00 „	167°	08′00 „

დროებით (განსაკუთრებულ ცნობამდე) თავისუფალია ზღვაოსნობისა და თვითმფრინავთა ფრენისათვის.

დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა სსრ კავშირსა და უგანდას შორის

8-10 ოქტომბერს უგანდის დედაქალაქ კამპალაში გაიმართა დღესასწაული ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გ. ი. ფომინმა.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელსა და უგანდის პრემიერ-მინისტრის ამოლო მილტონ ობოტეს მოლაპარაკების შედეგად 13 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს, რომ მყარდება დიპლომატიური ურთიერთობა და სსრ კავშირისა და უგანდის მთავრობები თანახმანი არიან გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე. გ. ი. ფომინმა და ა. მ. ობოტემ შესაბამისი წერილები გაუცვალეს ერთმანეთს ამ საკითხზე.

სამშოგლოს გელლეგში

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებთ აღნიშნავენ, რომ კიევის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა. დამამზადებელ პუნქტებში მიტანილია 19,3 მილიონი ფუთი პური — დაწესებულ გეგმაზე 4,4 მილიონი ფუთით მეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ კიევის ოლქის მშრომელებს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იბრძოლებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისა და ყოველმხრივ განვითარებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიმარაგეს საშვმოდგომო კულტურების თესლი. წარმოებს კოლმეურნეთათვის პურის გაცემა შრომადღეებზე და ფურაჟის შენახვა მეცხოველეობისათვის. გრძელდება სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა.

იბრძოდნენ რა მეცხოველეობის განვითარების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სოფლის მშრომელებმა კიევის ოლქის მშრომელები აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით განახორციელონ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ამოცანები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი სწრაფი აღმავლობისა და თანიანთ წვლილს შეტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საერთო სახალხო ბრძოლაში. (საკდესი).

ა. ა. გრომიკო ვაშინგტონს ჩავიდა

ვაშინგტონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ნიუ-იორკიდან აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

18 ოქტომბერს ა. ა. გრომიკო თეთრ სახლში შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის.

ფინეთის პრეზიდენტი მოსკოვიდან გაემგზავრა

17 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უოჰო კეკონენი მეუღლითურთ. სამეფო სტუმარი დასასვენებლად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში 3 ოქტომბრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პირადი მოწვევით. (საკდესი).

ასამგლეაში

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დღის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ აირჩია ბრაზილია, ნორვეგია, მაროკო და ფილიპინები უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებად ჩილის, ირლანდიის, ირბანთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და რუმინეთის ნაცვლად, რომელთა რწმენების ვადა ამ ორგანოში გადის მიმდინარე წლის დამლევს. საბჭოთა კავშირი, არგენტინა, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, იაპონია და დიდი ბრიტანეთი აირჩიეს ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრებად. მეურვეობის საბჭოში ასამბლეამ აირჩია ლიბერია.

ბრძოლები იემენში

კაირო, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ იემენის მთავრობის ჯარებსა და საუდის ჯარების ქვედანაყოფებს შორის, რომლებმაც იემენის ტერიტორიაზე შეაღწიეს ალ-ჯაუფის რაიონში, მოხდა გაფფრთხილები ბრძოლა, განუცხადა მენის საგანგებოს სანელ კორესპონდენტს იემენის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალბალა ეს-სალალმა.

ამ ბრძოლაში, თქვა სალალმა, იემენის ჯარებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს. საუდის ქვედანაყოფებს უკან დაახვევინეს საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ტარფას რაიონში. მოწინააღმდეგემ დაკარგა 30 კაცი მოკლულის და 50 კაცი — დაჭრილის სახით.

კუტუზოვის პროსპექტი. დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ამასთანავე ისტორიული მაგისტრალი. აქ თვით სახელწოდებაც კი ცოცხალი ისტორიაა: ბოროდინოს ხიდი, ფილი, მეტროს სადგური ბაგრატიონოვსკაია. აქედან იწყება გზა ბოროდინოსაკენ. ფოტო ს. სმირნოვისა და ი. საშინისა.

ამ დღეთა დიდება

დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი შეიკრიბა გუშინ, 18 ოქტომბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. აქ გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება ბობილისის, გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი 1812 წლის სამამულო ომის 150-ე წლისთავისადმი.

სცენის სიღრმეში „ოქროსფრად ელვარებს თარიღები: „1812“, „1962“.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **ვ. პ. მეჟვანაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე,** ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ.**

საზეიმოდ ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

სიტყვა მოხსენებისათვის „1812 წლის სამამულო ომის 150-ე წლისთავი“ მიეცა პროფესორ **ი. გ. ანთელავას.** დღეს, თქვა მან, საბჭოთა ადამიანები, მათთან ერთად კი მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა, აღნიშნავენ რუსეთის ხალხთა ისტორიის სახელოვან თარიღს — 1812 წლის გმირული სამამულო ომის 150-ე წლისთავს.

1812 წლის სამამულო ომის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

1812 წლის სამამულო ომი, თქვა მომხსენებელმა, გმირული ეპოპეაა რუსი ხალხის ისტორიაში. ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოვლინდა რუსი ხალხის შესანიშნავი ეროვნული ნიშანთვისებანი, მისი უოყეენი მისწრაფება გამარჯვებისადმი, სამშობლოს მხურვალე სიყვარული.

1812 წლის გამარჯვებებმა ბიძგი მისცეს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას რუსეთში, ბრძოლის გაწულას ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ; ცხობილია, რომ თითქმის ყველა ფალსაჩინო დეკაბრისტი, როგორც თვითონვე ამბობდნენ, სამამულო ომის „შვილები“ იყო.

ამ ომმა ცხადყო რუსეთის ხალხთა უოყეენი საბრძოლო სულისკვეთება. ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ სწორედ ამ ხალხებმა მოახდინეს ოქტომბრის რევოლუცია, დაიწყეს ახალი სამყაროს მშენებლობა, მკერდით დაიცვეს სოციალისტური მონაპოვრები.

მომხსენებელმა ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხების ძმობაზე, მათს ისტორიულ საბრძოლო თანამეგობრობაზე. ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსთა და უკრაინელთა, ბელორუსთა და ქართველთა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის საერთო საქმე იყო. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველი ერის ბევრი სახელოვანი შვილი რუსი ძმების მხარდამხარ იბრძოდა.

კაცობრიობის ისტორიაში იყო მაგალითები, როცა ნაპოლეონის მსგავსი ავანტიურისტი ივიწყებდა წარსულს გაკვეთილებს. მაგრამ, უცხოელ დამპყრობელთა ყველა შემოსევა საბჭოეთზე სამარცხვინოდ დამთავრდა. ასე მოუვიდათ ფაშისტ დამპყრობლებს.

საბჭოთა ადამიანები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან. ისინი არავის არ ემუქრებიან, პიროქით, მეგობრობის ხელს უწვდიან ყველას, სთავაზობენ თანამშრომლობას პროგრესისათვის. მაგრამ ჩვენს დღეებში იმპერიალისტური რეაქციული წრეები არ ითვალისწინებენ ხალხთა ნებას და ომით ემუქრებიან საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებს. მაგრამ დაე აგრესორებს ახსოვდეთ ისტორიის გაკვეთილები, საბჭოთა სახელმწიფოს საბრძოლო ძალიერება.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ მომხსენებელს, როცა მან გამარჯვება უსურვა საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს — ჩვენი ქვეყნის საბრძოლო დიდების ღირსეულ მემკვიდრეს.

საზეიმო კრების მონაწილეთათვის საქართველოს ხელოვნების ოსტატებმა დიდი კონცერტი გამართეს.

• • •

საღამოს თბილისის ცაში ჩირაღდნები აკიაფდა. საქართველოს დედაქალაქმა 20 საარტილერიო ზალვით სალუტი მისცა რუსეთის ხალხთა დიდ პატრიოტულ გმირობას 1812 წლის სამამულო ომში.

(საქდესი).

100.000 ტონა ხილისათვის!

მოწინავე მეხილეთა მაგალითით!..

შრომის ფერხულშია ჩაბმული ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. მეხილეები მთელი წლის ნაამაგარს ამინავებენ.

წელს საქართველოს რესპუბლიკის მეხილეები იმისათვის იბრძვიან რომ მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 ათასი ტონა ხილი, აქედან — 67 ათასი ტონა თესლოვანი.

სწორედ ახლა წყდება პირობის შესრულების ბედი. უველგან მასობრივად დაიწყო ხილის მოსავლის აღება. მარტო გორის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან 26.120 ტონა თესლოვან ხილს, ე. ი. რესპუბლიკის დავალების მეოსამდეზე მეტს.

ტოტებდახუნძლული ხეხილის ბაღებში ადრე დილიდან გამოსულან გორელი მკრეფავები. ისინი სწრაფად, უდანაკარგოდ იღებენ ხილის მოსავალს. მარტო ერთ დღეს — გუშინ აღებულ იქნა და სახელმწიფოს მიეყიდა 150 ტონაზე მეტი თესლოვანი ხილი.

ზოგიერთმა კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. მაგალითად, სოფელ ბერშუეთის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 600 ტონა ხილი და ამით წლიურ გეგმას 200 ტონით გადააჭარბა. ბერშუეთელი მეხილეები ვალდებულების გადამეტებით სახელმწიფოსათვის კიდევ 150 ტონა ხილის მიყიდვას გვპირდებიან. ასევე სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს და ახლა ვალდებულების ანგარიშში იღებენ ხილის მოსავალს მერეთისა და სხვა კოლმეურნეობებში.

წელს, ისევე როგორც მოწინავე მეკენახეებმა, მეხილეებმაც ბატრიოტული მაგალითი აჩვენეს. კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ხილის მოსავლის 80-90 პროცენტს სახელმწიფოს აძლევენ.

მაგალითად, გორის რაიონის ახალუბნის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველმა გაიოზ პეტრიაშვილმა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ხილიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 2.200 კილოგრამი. იგი კიდევ 1.000 კილოგრამი ხილის მიყიდვას გვპირდება. სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობის წევრმა ავთანდილ მღებრიშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 1.200 კილოგრამი ხილი, სახელმწიფოს დამატებით 800 კილოგრამ ხილს მიჰყიდის. ამავე კოლმეურნეობის წევრმა ზაქარია მელაძემ სახელმწიფოს მისცა 2.000 კილოგრამი ხილი, კიდევ 800 კილოგრამს მიჰყიდის, ტირძნისის კოლმეურნეობის წევრმა გიორგი ტატუნაშვილმა 2.500 კილოგრამი ხილი მისცა სახელმწიფოს, ხოლო ვახტანგ ქურთაულმა — 1.600 კილოგრამი. იგი დამატებით სახელმწიფოს მიჰყიდის 2.000 კილოგრამ თესლოვან ხილს. სოფელ მერეთის კოლმეურნეობის წევრებმა ალექსანდრე ლაფაჩმა, ალექსანდრე მაისურაძემ, ქსენია გორგიშელმა, ედვარდ ელიაშვილმა, ირაკლი გორგიშელმა, მიხეილ ქებაძემ, ბიძინა გორგიშელმა, თამარ დოღუზაშვილმა, იოსებ გუგუტიშვილმა და სხვებმა თვითეულმა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოღებული მოსავლიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 6.000-1.500 კილოგრამი ხილი.

მივბაძოთ მოწინავე მეხილეთა პატრიოტულ თაოსნობას.

მცხეთელებმა სიტყვა შეასრულეს

მცხეთა. (ტელეფონით). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეხუთე წლისთავის ღირსეულად შესახვედრად მცხეთის რაიონის მეხილეებმა ვალდებულება იკისრეს თესლოვანი ხილის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა შეესრულებინათ 25 ოქტომბრისათვის, ბეჯითი მუშაობის შედეგად ნაკისრი ვალდებულება გადაზე ადრე — 17 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით განაღდეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 735 ტონა თესლოვანი ხილი ნაცვლად 437 ტონისა.

პარტიული ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

რეზერვები?—აი ისინიც

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა საქართველოს დედაქალაქის გერ-ერთი მსხვილი საწარმოა. მის პროდუქციის — ფასონური თუჯისა და ფოლადის სხმულს — კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. თბილისელ მელითონეთა ხახელავს ფართოდ იყენებენ უკრაინელი, ახერბაიჯანელი და სომეხი მანქანათმშენებლები.

უკანასკნელ წლებში ქარხანა შესამჩნევად გარდაქმნა, მნიშვნელოვნად გაზარდა მისი სიმძლავრე. მაგრამ ქარხნის კომუნისტებს, რომლებიც შვიდწლედის დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან, კარგად ესმით, რომ ახალ დავალებათა წარმატებით შესრულება შეუძლებელია მხოლოდ წარმოების შემდგომი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური სრულყოფის პირობებში.

ქარხნის კოლექტივის წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა: რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით მისცეს სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ლითონი.

როგორ ასრულებს ამ ამოცანას თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი? — აი საკითხი, რომელიც წითელ ზოლად გასდევ ვდა გუშინწინ აქ შემდგარ საანგარიშო-საარჩევნო კრების მთელ მუშაობას.

ქარხნის პარტიბიროს მდივნის ზ. ხატელიშვილის საანგარიშო მოხსენებასა და კომუნისტთა გამოსვლებში პროდუქციის ხარისხს ყველაზე მეტი ყურადღება ჰქონდა დათმობილი. ეს გასაგებიც არის. თუ უკანასკნელ წლებში ქარხანამ არ იცის რა არის გეგმის შეუსრულებლობა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება აქ ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხად რჩება. ამასთანავე იგრძნობა წუნის გადიდების ერთგვარი ტენდენციაც: თუ მარშან წუნმა 4,6 პროცენტს ძიადწია, შემდინარე წლის მარტო რვა თვეში მან 6,1 პროცენტი შეადგინა და დიდძალი თანხით გამოიხატა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ ქარხნის ადმინისტრაცია და პარტბიუროო, საამქროთა პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ სწავლობენ წუნის გამომწყვეტ მიზეზებს და არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, სუსტად იბრძვიან წუნისმკეთებელთა წინააღმდეგ ქარხნის ტექნიკური და საწარმოო განყოფილებები. პარტიული კონტროლის კომისია ფაქტების რეგისტრატორის როლში გამოდის, სხვა ქარხნების საჩივრებსა და რეკლამაციებზე პასუხების გაცემით კმაყოფილდება. არ იქნება რიტმული მუშაობა, — თქვა მესამე საამქროს უფროსმა ვ. ეფიმოვმა, — არ ჩქარა პროდუქციის კარგი ხარისხი. ჩვენთან რიტმულ მუშაობაზე ბევრი რამ თქმულა, ბევრი ქაღალდი და მელანი დახარჯულა, მაგრამ ამ მხრივ დიდი ძვრა მაინც არ არის. წარმოების რიტმს არღვევს ძირითადი და დამხმარე მასალების ნაკლებობა, ზოგჯერ კი უქონლობაც. არის ასეთი ხალხური ანდაზა, „მჭედელს დანა ენატრებოდაო“, და როცა ხალხური სიბრძნის ეს სიტყვები მომყავს, მაგონდება მდგომარეობა ჩვენი საამქროსი, რომელიც არც თუ იშვიათად განიცდის თუჯისა და ფოლადის ნაკლებობას. პირდაპირ კურიოზია! ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მუდამ საჭიროებისამებრ გვქონდეს ქანგბადის ბალონები და ბენტონიტი, რაც საარსებოდ აუცილებელია საამქროს ნორმალური მუშაობისათვის. ანდა გაბა საგანგაშო არ არის ის მდგომარეობა, რომ დღეს პირველი საამქრო დგას თუჯის უქონლობის გამო?

წარმოების რიტმის დარღვევა იერიშობაზას მთავარი წყაროა, ეს უკანასკნელი კი პროდუქციის ხარისხის გაუარესების ძირითადი მიზეზია.

— ჩვენ არც თუ ისე იშვიათად გვიხდება უხარისხო საყალიბო ნარევით, შეუკეთებელი მოდელებითა და საკომპეტენციო მუშაობა, ზოგჯერ საგრძნობია ლითონის ჯართის ნაკლებობა, განვიცდით საწარმოო ფართობის სიმცირესაც. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე, როგორც, შომხმარებელთა სამართლიან გულისწყრომას ვიმსახურებთ, — ამბობს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ს. კუპრაძე.

საქარხნო მარკის ღირსებაზე ამახვილებს თავის გამოსვლაში ყურადღებას თითქმის ყველა ორატორი. საინტერესო იყო ამ მხრივ ელექტროსაამქროს ოსტატის ვ. ლომიშვილის გამოსვლა. — რამდენიმე წლის წინ ჩვენთან წუნის გამოფენას ვაწყობდით. ეს საშუალებას აძლევდა მუშებს თავიანთი თვალით ენახათ წუნიც და უშეალოდ გაეცნოთ წუნისმკეთებლები. მაგრამ თვალსაჩინოების ეს კარგი ფორმა ამ ბოლო დროს სრულიად უსაფუძვლოდ დავივიწყეთ. ჩემი აზრით, მან კვლავ უნდა ოლიკოვოს თავისი მოქალაქეობრივი უფლება.

პირველ რიგში ვის, თუ არა ქარხნის ტექნიკურ კონტროლის განყოფილებას, ეხება წუნის წინააღმდეგ სისტემატური, შეუპოვარი ბრძოლა. მაგრამ ამ განყოფილების უფროსმა გ. ვახანიამ, რომელიც კრებაზე გამოვიდა, სიტყვა 3-4 წუთში ამოწურა და არაფერი უთქვამს თავისი განყოფილების მუშაობაზე. ამიტომ იყო, რომ კრების მონაწილეები ვერ დაკმაყოფილა მისმა დეკლარაციული ხასიათის გამოსვლამ.

სიბეჯითია — მაშასადამე ჩინებულია! ეს დევიზი ახლა მეტად პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში. უფრო მეტი. საქარხნო და საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის ბრძოლა ჩვენი საწარმოების მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია. საჭიროა ქარხნის ადმინისტრაცია, პარტიბიუროო უფრო მეტად დაინტერესდნენ ამ საკითხით, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეთ ტექნიკურად განათლებულ, პრინციპულად მომთხოვნ ადამიანებთან, ყოველდღიურად იმუშაონ და მტკიცე კონტროლი დაუწესონ პროდუქციის ხარისხზე.

უკანასკნელ ხანებში ქარხანაში ბევრი რამ გაკეთდა ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დასანერგავად. მრავალი მოძველებული მანქანა შეიცვალა ახლით, შემოიღეს მთელი რიგი სიახლენი. ამასთან ბევრი სიახლის დანერგვის ინიციატორები კომუნისტები არიან. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ძველი ტექნიკით, მუშაობის დრომოჭმული მეთოდებით შორს ვერ წახვალ. მარტო ქარხნის რაციონალიზატორებმა თავიანთი წინადადებებით წარმოებას მისცეს მრავალი ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია. მაგრამ ლაპარაკობდნენ რა ტექნიკურ პროგრესზე, კამათის მონაწილე კომუნისტებმა ყურადღება გაამახვილეს ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, რეზერვებსა და შესაძლებლობებზე. კრებაზე მოიყვანეს ასეთი ფაქტი: ქარხნის სომძლავრე ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ მექანიკური საამქროო თითქმის იმავე დონეზეა, როგორზეც ამ ათი-თორმეტი წლის წინ იყო.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქარხნის პარტორგანიზაცია, კომუნისტები დაინტერესებული არ იყონ ტექნიკური პროგრესის საკითხებით. ისინი თავიანთ კრებებზე არც თუ იშვიათად განიხილავენ ამ საკითხებს, იღებენ კარგ დადგენილებებსაც, მაგრამ იმის გამო, რომ არ არის საჭირო მომთხოვნელობა და, რაც მთავარია, მიღებულ გადწყვეტილებათა შესრულებისათვის სათანადო ბრძოლა, ბევრი კარგი დადგენილება შეუსრულებელი რჩება.

დაბალია წარმოების კულტურა. ქარხნის დირექტორი ი. იმერლიშვილი, რომელიც კრებაზე საყურადღებო სიტყვით გამოვიდა, იძულებული იყო ეღიარებინა ეს ფაქტი. — ვინც ჩვენს ქარხანაში წითათაც ყოფილა, — თქვა მან, — გაუკვირდება აქ მომხდარი ძირეული ცვლილებები. მაგრამ ვერ გაამტყუნებ, თუ უცხო კაცი ბევრ ნაკლოვანებაზეც მიგვითითებს. ნელი ტემპით მიმდინარეობს ქარხნის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლებსაც „თბილმრეწმშენი“ აწარმოებს.

ორატორმა — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა დ. აბვლელიანმა აღნიშნა, რომ ქარხნის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ობიექტი წლობით შენდება და ირღვევა მათი საქმეპლოატაციოდ გადაცემის გრაფიკი. მაგალითად, სამჯერ დაირღვა ფოლადსამსხმელო საამქროს გაშვების გრაფიკი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დიდი მსჯელობა გაიმართა ადამიანის აღზრდის, მუშათა შრომისა და საწარმოო დისციპლინის, საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხებზე.

— გეგმის რეალობა — ეს ჩვენი ადამიანებია, — თქვა თავის გამოსვლაში საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჭოხოელიძემ, — ამიტომ ადამიანი ყველა ჩვენგანის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სუსტად ვმუშაობთ ახალი ადამიანის აღზრდაზე, ხაკლებად ვზრუნავთ მის საყოფაცხოვრებო მოწყობაზე, გახშირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ბევრია მუშახელის დენადობისა და სამუშაოდან თვითნებურად წასვლის ფაქტები.

ქარხანაში ნაკლებად აქტიურობს აგიტატორთა ერთი ნაწილი, საკმაო რაოდენობით არ ტარდება ლექციები და მოხსენებები. საანგარიშო პერიოდში მოეწყო მხოლოდ 47 ლექცია და პოლიტიკური მოხსენება. ცხადია, ეს ციფრები დასაკვირვებელია, ეს ციფრები ფასაკვირვებელ არ არის ფიდი ნაკლოვანებათა მოსაშორებლად, როგორიც ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაა.

კრებაზე მოიყვანეს ფაქტები, როცა შრომისა და საწარმოო დისციპლინის დამრღვევთა შორის არიან კომუნისტებიც, აღინიშნა, რომ კომუნისტი რ. ხოსტოფაშვილი ლოთობს და ხშირად აცდენს სამუშაოს. ადმინისტრაცია, ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, საამქროთა პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად არ მუშაობენ ადამიანებთან, სისტემატურად არ მსჯელობენ შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე, მუშების აღზრდაზე შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. მათ ავიწყდებათ, რომ ადამიანი შრომაში იზრდება. მიმდინარე წლის ცხრა თვეში არც ერთ საამქროში არ განუხილავთ შრომის დისციპლინის დარღვევის რომელიმე შემთხვევა.

თბილისელ მელითონეს კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ.

— საბჭოთა ხალხი. — თქვა მან, — ახალი თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ჩვენი სამშობლო ძლევამოსილი ნაბიჯით მიდის წინ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული გზით.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ახალახალ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ამას მოწმობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მათ მიერ მოპოვებული მიღწევები. წელს განსაკუთრებით გაგვახარეს საქართველოს რეფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, უკვე დაანადეს 170 ათასი ტონა ჩაი და იბრძვიან 190 ათასი ტონა ყურძნისათვის.

[illegible] ქარხანა,— თქვა [illegible] ამ. ვ. ჭ. [illegible] ჩვენი [illegible] ეკონომიკა [illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობ

„ივერიის“ დაბადება

ილია ჭავჭავაძის თვითეულ ქმნილებას, დიდსა თუ პატარას, მისი ავტორის ტიტანური სულის წარუშლელი ბეჭედი აზია. ამ სულის ნაწილია ყველაფერი, რაც დიდმა მწერალმა ქართულ პოეზიას, პროზასა და პუბლიცისტიკას შესძინა.

ამიტომ არიან ისინი უკვდავნი და ჩვენი ხალხიც ამიტომ ინახავს მათ გულში, რომელშიც „ქართველის დედასა“ და „ოთარაანთ ქვრივთან“ ერთად მან მრავალ ჭირთა მნახველი, მაგრამ გაუტეხავი „ივერიის“ სწორუპოვარ წერილებსაც გაუჩინა სამუდამო ბინა.

ჩვენ ახლა ილიას დაბადების 125 წოლისთავისათვის ვემზადებით. ეს თითქოს თავისთავად გვიწევს ორიოდე სიტყვით მისი სასიქადულო „ივერიის“ დაბადებაც გავიხსენოთ.

□ □

ქართველმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1876 წლის 4 მარტს „დროების“ 10 წლისთავი იდღესასწაულეს. 1877 წლის 3 მარტს კი ქართველმა მკითხველმა „ივერიის“ პირველი ნომერი მიიღო. ამ დღიდან დიდი ილიას პირმშო ძმასავით გვერდში ამოუდგა მასზე ათი წლით უფროს „დროებას“, რომლის რედაქტორი სერგეი მესხი ჯერ კიდევ 1876 წლის ივნისში სიხარულით ატყობინებდა თავის მკითხველს: „ომამავალი წლიდან ახალი ქართული გაზეთი გამოვა ჩვენში. ამნაირად ჩვენ გაზეთს ახალი მომე ებადება. კეთილი იყოს იმის ჩასახვა, კეთილი იყოს მისი დაბადება!.. ამ გაზეთში ჩვენ ისეთ ნამდვილ მოძმეს შევიძენთ, რომელიც ხელიხელში გაყრილი ჩვენთან ერთად იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით, ჩვენთან ერთად მოინდომებს და იკისრებს ამ საზოგადოების გაღვიძებას, წარმატებას და ნამდვილ სამსახურს... შრომა ხო გაგვინახევრდება მაშინ, ტვირთი ხო ერთი-ორად მსუბუქი გვექნება, საზოგადოების წარმატება ხო ერთიორად უფრო აჩქარებით და გონივრულად დაიწყებს მსჯელობას, ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს ეხება ხო ორი მოუღლე ეყოლება მაშინ და ჩვენ მეტი რაღა უნდა გვინდოდეს, ამაზე მეტს რაღას უნდა ვნატრულობდეთ“.

ასრულდა სერგეი მესხის წინასწარმეტყველება. „ივერია“, „საქართველოს მოამბის“ ეს ღირსეული მემკვიდრე და მისი ნათელი ტრადიციების გამგრძელებელი, ჭეშმარიტად გახდა მებრძოლი „დროების“ თანამოსაგრე. როგორც ადრე „საქართველოს მოამბემ“, ისე შემდეგში „ივერიამ“ თავის გარშემო შემოიკრიბა „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესისა და ცხოვრების მოყვარე“.

„საქართველოს მოამბეში“ წერდა ილია, რომ „ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ მას“. ამ აზრის ერთგული ბოლომდე დარჩა „ივერიაც“, რომელიც თავისი დროის მოწინავე ქართული ჟურნალისტიკის უპირველეს დანაშულებად ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ მესვეურობას, ხალხის პოლიტიკური და ზნეობრივი შეგნების ამაღლებას, ერში იმ „ღვთაებრივი გრძნობის“ დამკვიდრებას სთვლიდა, რომელსაც, ილიას განმარტებით, „კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც, როგორც უდიდესი სიუნჯე, ადამიანთათვის მომადლებული, პატივცემულ უნდა იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში, გლახაა იგი თუ მდიდარი“.

„კაცებური ღირსების“ პატივისცემა, შენიშნავდა „ივერიის“ რედაქტორი, იმას როდი ნიშნავს, რომ „ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს“. არა, „ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება მისი“. ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, განაგრძობდა ილია, რომ „პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავის თავს კაცად სცნობს და აღიარებს“, რადგან „რამდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც“.

ადამიანის, საზოგადოების, ერის უფლებებისა და ღირსებათა დაცვის ეს მაღალი იდეა მუდამ ამშვენებდა ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ ჰუმანიზმს. მართლაც გრანდიოზული იყო ეს იდეა თავისი დანიშნულებით, მაგრამ განსახორციელებლად მეტად რთული და მძიმე. ამას გრძნობდა „ივერიაც“, რომელიც თავის ისტორიულ მოწინავეში პირდაპირ აღიარებდა, რომ „ძნელი განსახორციელებელია ეს ყველაფერი“, თუმცა იქვე იმასაც დასძენდა, რომ „მაგ სიძნელეშია სწორედ ის წყარაოც, რომლითაც უნდა აიწყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწყო მისთა მოლვაწეთა შენი გულითადი თანაგრძნობა, შენი პირუთვნელი პატივისცემა და შენი უანგარო სიყვარული“.

ასეთ ვითარებაში დაიწყო საშვილიშვილო მოღვაწეობა „ივერიამ“, რომელიც დაბადების დღიდან მისი არსებობის უკანასკნელ საათამდე წინდახედულად და ვაჟკაცურად მიუძღოდა ქართველ ხალხს გმირულ ბრძოლებში თავისუფლების გასამარჯვებლად. როცა „ივერიის“ ამ ბრძოლებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, სიამაყის გრძნობით უნდა ვიგონებდეთ მას წინამორბედ ფალავნებსაც და პირველ რიგში „საქართველოს მოამბეს“, რომელიც „ივერიაზე“ ადრე ასწავლიდა ხალხს, რომ „მარტო რევოლუციას შეუძლია შექმნას თავისუფალი საქართველო“.

ილია დიდი რეალისტი იყო და ამიტომ ამბობდა „ივერიის“ პირველ მოწინავეში, რომ „ჟურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ის ცხოვრება უნდა ჰქონდეს“, რომელიც, უკვდავი მწერლის შესანიშნავი განმარტებით, მუდამ „დუღილშია, შეუუერეწელს მძრომობშია“.

ილიას სწამდა, რომ ეს „დაუდგრომელი, მოძრავი, ბევრი საქმისა და საგნის შემცველი“ ცხოვრება ის რეალური სინამდვილე, რომლის ძირებით საზრდოობს ადამიანის არა მარტო პრაქტიკული, არამედ შემეცნებითი ინტერესიც. „ადამიანის გონებითი ძალა — წერდა იგი „ივერიის“ პირველ მოწინავეში, — რომელიც დღემუდამ უნდა დასტრიალებდეს ცხოვრებას, ორგვარად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმოჩენილს საქმესა და საგანს. პირველი, როგორც მასალას, ორმელიდანაც მეცნიერების ძალას ადამიანისას გამოპკაჟავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედაზრზე ამყარებს მეცნიერების შენებასა, საიდანაც ეს დედა-აზრი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდეს. უამისოდ მეცნიერება უხმარი განძია, უქმი ჭკუის უქმი ვარჯიშობაა. მეორე, როგორც წილადებს, რომელთაგანაც შემდგარია დღევანდელი დღე, მისი შინაგან-გარეგანი, ერთი სიტყვით, ის ბაერი, რომლითაც დღეს ვსუნთქავთ, ვცხოვრობთ და ვვიკვებლობთ“.

დღევანდელი დღისადმი, თანამედროვეობისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში ამოდენებდა ილია თავის ერთგულებას სამოციანი წლების დიდი პრინციპებისადმი და ამის გამო წერდა, რომ „ყოველი გაზეთი უნდა იყოს შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მპოვებულის, გამოძიებულის და აღრიცხულის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა, სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონებითის და ზნეობითის მოძრაობისა, ყოველდღიური აზრის მიდენ-მოდენისა“.

ცხოვრება, რომლის სარკესაც ლიტერატურა, პრესა წარმოადგენს, ერთ წერტილზე გაყინული არ არის. იგი მუდმივ მოძრაობაში, დუღილში, განვითარებაშია, და ამის გამო წერდა „ივერია“, რომ „ჟურნალ-გაზეთის დანიშნულებას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვადასხვა საზოგადოებაში და ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ისტორიულ დროს“. ამიტომ გაზეთი „ზოგჯერ სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს“ და „ზოგჯერ „აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა“. მაგრამ, ისტორიული დანიშნულების ამ სხვადასხვაობის მიუხედავად, მათი საერთო ასპარეზი ყოველთვის ერთი და იგივე უნდა რჩებოდესო — წერდა „ივერია“. ეს ასპარეზი კი ის ყოველდღიური ცხოვრებაა, რომელიც „ადამიანთა ქმნილებაა, მათი ნამოქმედარი და ჭირნახულია“.

ილიას ეს სიტყვები, რა თქმა უნდა იმას როდი ნიშნავდა, თითქოს „ივერია“ მხოლოდ დღევანდელობის ამოცანებით იბრუნებდა სულს და მისი ასახვით ზღუდავდა თავის შემოქმედებას. „ივერიას“, როგორც ხალხის იდეურ წინამძღოლს, ხვალინდელი დღის მოკმედების ნათელი გზაც უნდა ეჩვენებინა ქვეყნისათვის, და ამიტომ ამბობდა ზისი რედაქტორი: „როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, ისე მის მონაწილე ადამიანთა საქმიანობა გაზეთმა უნდა მისცეს სასტიკ გარჩევას (ე. ი. მსჯავრი დასდოს მათ — ვ. ზ.) თავისი რწმენისა, აზრისა და ცოდნის კვალად“.

ასე მსჯელობა მხოლოდ ჭეშმარიტ რევოლუციონერ დემოკრატს შეეძლო იმ დროს და ილიაც ამ ფილოსოფიით შეიარაღებული ჩაგონებდა თავის მკითხველს, რომ „ყოველ გან და ყოველისსფერში ჟურნალ-გაზეთმა უადრესი და უპირველესი მნიშვნელობა უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედაზრს, რომლითაც თვით უუფრეს საგანს“.

ეს იდეა და დედაზრი კი ხალხის ის თავისუფლება იყო, რომლის გასამარჯვებლად „ივერია“ დაუნებით მოითხოვდა „სამეცნიერო ცოდნის გადმოტანას და გავრცელებას საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვებასა და განმარტებას“. დღეს ცნობილია, რომ „ჩვენში გადმოსატანი“ ეს „სამეცნიერო ცოდნა“ იმ სოციალისტურ და რევოლუციურ იდეებს გულისხმობდა ფარულად, რომლის პროპაგანდას დაუდალავად ეწეოდა ილია და მისი გაზეთი ჩვენში.

უკიდეგანო იყო ილიას პატრიოტული გრძნობა, მაგრამ ეროვნული კარჩაკეტილობის ტრფიალი არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ეს სულმნათი.

დიდი ადამიანის მაღალი გრძნობებით შეპყრობილი იგი ხალხთა ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის მაღალ იდეას, რომელსაც „ახალი დროის ერთ შესანიშნავ ღირსებად“ სთვლიდა მუდამ. ეს მეგობრობა იყო ილიასათვის „ძლიერი საშუალება ხალხის წინ ფეხის წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის“, თუმც „უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება“ „ივერიას“ „ზოგჯერ იმისათვისაც სჭირდებოდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სულთამხუთავი წყობილების მაგალითზე ცარიზმის სისაძაგლენი ეჩვენებინა ხალხისათვის. ამას მიეძღვნა ის „მოკლე მოთხრობაც სხვადასხვა სახელმწიფოთათვის“, „ივერიის“ პირველ ნომერში რომ დაბეჭდა ილიამ.

გულადად და უელმობლად ებრძოდა ჩვენი ხალხი მომხდომთ, მაგრამ იგი ერთიორად უსმენელი იყო იმათ მიმართ, ვინც ქვეყნის შიგნით შუღლსა და განხეთქილებას თესავდა ურცხვად. ამ უკეთურთა შეურიგებელი მტერი იყო მუდამ ქართველი ხალხი, მათ სდევნიდა შეუბრალებლად „ივერია“, საქართველოს მთლიანობისა და სიძლიერის ეს ერთგული მსახური და გუშაგი.

თქმა არ უნდა, მძიმე და ხიფათიანი იყო „ივერიის“ სამოდვაწეო გზა. ილიამ კარგად იცოდა, რომ ამ გზაზე მას მეგობარიც ბევრი ეყოლებოდა და მტერიც. და თითქოს, ხვალინდელ მტერთა წინასწარ დასაძაბუნებლად, მათ გასანიარაღებლად დაუწერია ეს ელვარე ავტორეცენზიაც („კარგი გმირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“), რომელიც „ივერიის“ პირველ მეთაურ წერილს მიუძღვნა მან.

ბრძენი და შორსმხედველი მამა ერისა გულახდილად წერდა ამ ავტორეცენზიაში, რომ ზოგი ჩვენს „ივერიას“ უფხოობას დასწამებს, ზოგიც „ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის შუამავლობას“ დაუწუნებს, ზოგიც „ზნეობითი კანონებზე“ მსჯელობაში დასცინებს, ზოგი იმასაც იტყვის, რომ „იქნებ გემო და ფხა იმაშია, რისთვისაც ამ ივერიას თავი დაუნებებიაო“ (ე. ი. პოეზიაში და არა პუბლიცისტიკაშიო. ვ. ზ.), მაგრამ რა ვქნა, — გულისტკივილით ჩიოდა ილია, — ამაზე ჩვენ მხოლოდ ერთით შეგვძლია ვუპასუხოთ: „ქვეყნის უკულმართობავ, არა იყავ ნება შენი“.

ქვეყნის ამგვარ უკულმართობასთან ბრძოლით მიიკაფავდა თავის სახელოვან გზას „ივერია“, დიდი ილიას იმ უკვდავი სიტყვებით შთაგონებული, რომ

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ
ქართველის ბედმა,
და, დაე გვძრახონ — ჩვენ მის
ძებნით დავლიოთ დღენი“.

ვლადიმერ ზამბახიძე.

კანონიერების დამცველების უკანონო მოქმედება

ჩვენი დროის ფამუსოვები

ვინ მოთვლის, რამდენი რძალ-მულია ამ დალოცვილ ქვეყანაზე... ცხოვრობენ ისინი მშვიდად, ურთიერთგაგებითა და სიყვარულით, როგორადაც უნდა ცხოვრობდნენ ნამდვილი დები.

მართალია, ხალხს დღემდე შემოუნახავს ძველებური ანდაზა: „მულის ტყავი გადმოვარდა — ცხრა რძალი დაიტანაო“. მაგრამ ასეთები ხომ იშვიათად გვხვდება, ისინი ერთეულებია.

ჰოდა, არის ერთი მული, ვერა კაპანაძე, რომელსაც ცხრა რძალი არა ჰყავს, მაგრამ ერთადერთი რძალი, ლანდიშა ფრიდონაშვილი, მართლაც უზომოდ გიმეტა. დაჯდა წერად და „ენამზეობა“ დაიწყო. ტყავი არ გადმოვარდნია, თორემ იმდენი აუწერელი წერილი გზავნა რძლისა და საკუთარი ძმის სახელზე, მეხის გადმოვარდნა სჯობდა.

ჩვენ არ გამოვუდგებით მულის წერილების შინაარსს, მით უფრო, რომ, რაღა დასამალავია, რძალმაც თავი ვერ შეიკავა, და რამდენიმე საპასუხო წერილი შეჰკადრა თავის მულს.

და მაინც ფაქტი ფაქტად რჩება — რაკი მული ქ. ზესტაფონში ცხოვრობს, ხოლო რძალი ქუთაისელია, ამ უკანასკნელმა საჩივარი აღძრა ზესტაფონის რაიონის პროკურატურაში.

ეს იყო მარწან, 1961 წლის 23 სექტემბერს.

სად იყო და სად არა, ზესტაფონში ჩასულ რძალს, ლ. ფრიდონაშვილს, წინ მისი მული წამოეშიმი. რაც აქ, ზესტაფონში, დღისით მზისით მოხდა, — ამაზე თვით მულს მოეუბნებოდა: „...წონასწორობა დავკარგე და რძალს სახეში ჩავარტეი“.

ასე წერს ფრიდონაშვილის მული ვერა კაპანაძე. ამასვე ადასტურებს ფრიდონაშვილის მეუღლის უჩა კაპანაძის დეიდა ლუბა ნიკაბაძე, რომელსაც ამ ყაღმაყალში უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს. თითქოს ფაქტები თავისთავად მეტყველებს და, რაც მთავარია, „წონასწორობადაკარგული“ მული თვითონაც არ უარყოფს რძლის ფიზიკურ შეურაცხყოფას.

ატირებულმა რძალმა პროკურატურას მიაკითხა. ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანაშემწეს პ. კაკაურიძეს მიმართა. ცილისმწამებლური წერილებისა და ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მულის დასჯა მოითხოვა.

მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. პროკურატურაში სამართალი უკუღმა დაატრიალეს. მომჩივანსაც და მოპასუხესაც ერთხაირი ხელწერილი დაადებინეს — ერთმანეთს არ მიაყენოთ არც სიტყვიერი, არც წერილობითი და არც ფიზიკური შეურაცხყოფაო.

რაკი პროკურატურიდან დადებითი პასუხი ვერ მიიღო, ფრიდონაშვილმა ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს მიმართა. მოსამართლე ვ. სამხარაძემ განცხადება არ მიიღო იმ მოტივით, რომ თითქოს ფრიდონაშვილსაც ჰქონდა მულის მიმართ დანაშაული.

რაიონის პროკურატურა და სასამართლო რომ განზე გადგნენ, ფრიდონაშვილმა რესპუბლიკის პროკურორს მიმართა.

და აი აქედან ამუშავდა ქაღალდების კონვეიერი რესპუბლიკის პროკურატურასა და ზესტაფონის რაიონის პროკურატურას შორის.

სამეს რომ ნათელი მოვფინოთ, საჭიროდ მიგვაჩნია ზუსტად დავიცვათ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

1962 წლის 11 იანვარი... საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ა. ბუაჩიძემ მიმართვა გაუგზავნა ზესტაფონის რაიონის პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს ს. ბლაიძეს. ამ უკანასკნელს სწერდნენ, რომ ამასთან ერთად ეგზავნებოდა მოქ. ლ. ფრიდონაშვილის განცხადება მისი შეურაცხყოფისა და ცილისმწამებლური წერილების წერის შესახებ და სთხოვდნენ პირადად შეემოწმებინა განცხადებაში აღნიშნული ფაქტები.

1962 წლის 20 იანვარი. პროკურორმა ბლაიძემ ეს მიმართვა თავის თანაშემწეს ჩიჩუას გადასცა — „გაეცანით და მომელაპარაკეთო“.

29 იანვარი. პროკურორის თანაშემწემ ჩიჩუამ მომჩივანი ფრიდონაშვილი ქუთაისიდან გამოიძახა, მაგრამ საქმის არსის გაგების სურვილი არ გამოიჩინა.

შეატყო ფრიდონაშვილმა ეს და ჩიჩუას აცილება მისცა. ამასთან სათანადოდ მოტივირებული განცხადება წარადგინა როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის პროკურორის სახელზე.

14 თებერვალი... რესპუბლიკის პროკურატურიდან კვლავ ბუაჩიძე წერს ზესტაფონის პროკურორს ბლაიძეს დ. დასძენს, რომ ეგზავნება ფრიდონაშვილის მეორე განცხადება მისი საქმის დღემდე დაუმთავრებლობის შესახებ. ბლაიძეს მიუთითებენ, რომ თუმცა მას პირადად უნდა შეემოწმებინა განცხადება, მან მაინც შემოწმება დაავალა იმას, ვისზედაც განმცხადებელი ცილებას წერს.

20 თებერვალი... ზესტაფონის რაიონის პროკურორის თანაშემწე ჩიჩუა (და არა პროკურორი ბლაიძე) ქუთაისში, ფრიდონაშვილის სახელზე გზავნის პასუხს კონვერტით, რომელსაც ფოსტის არავითარი კალენდარული დაღმა არა აქვს დასმული, და მომჩივანს წერს, თითქოს მისი განცხადება რესპუბლიკის პროკურატურიდან შემოსულია 20 იანვარს (განზრახ უელს ვეკრდ ეარც ეგზავნდებას, რომელიც 14 თებერვალს გადმოეგზავნა რაიონის პროკურატურას). ჩიჩუა აცნობებს ფრიდონაშვილს, რომ ამ უკანასკნელმა მიმართოს სახალხო სასამართლოს.

22 თებერვალი... იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკის პროკურატურაც და მომჩივანიც რაიონის პროკურორისაგან მოითხოვენ საქმეში პირადად ჩარევას და იმის მიუხედავად, რომ მომჩივანმა ორჯერ მისცა ა�eqs პროკურორის თანაშემწეს ჩიჩუას, რაიონის პროკურორმა ბლაიძემ ზედაც არ დახედა ქაღალდებს, და მიმართვაზე კვლავ წაწერა: „ამხ. ჩიჩუას. მომელაპარაკეთ“.

ჩვენ არ ვიცით, რა ვითარებაში ჩაიარა ამ მოლაპარაკებამ, ის კი ნამდვილად ვიცით, რომ რაიონის პროკურორმა კვლავ თავიდან აიშორა საქმე.

5 მარტი... ახლა ბლიაძე წერს ფრიდონაშვილს, რომ მან სასამართლოს უნდა მიმართოს.

განაწამებმა ფრიდონაშვილმა კვლავ რესპუბლიკის პროკურატურას მიმართა — ბლიაძემ არ განიხილა ჩემი არცერთი განცხადება და დამეხმართო.

10 მარტი... მკითხველისათვის უკვე ცნობილი ბუაჩიძე კვლავ და კვლავ უგზავნის მომართვას ისევე ცნობილ ბლიაძეს. ახლა კი აღარ სთხოვს, პირდაპირ ავალებს მას პირადად შეამოწმოს ფრიდონაშვილის განცხადება, ამასთან „ობიექტურად და სრულყოფილად“, თან დასძენს: „ერთხელ და საბოლოოდ მოუღეთ ბოლო აღნიშნული საჩივრების გადაწყვეტის გაჭიანურებას“.

ჩანს, პროკურორ ბლიაძეს სულაც არ დაუხედავს ამ მიმართვისათვის. ამჯერად არც არავის გადააკისრა საქმის შემოწმება და არც თვითონ იკისრა.

15 მარტი... ფრიდონაშვილი ახალი განცხადებით მიმართავს ბლიაძეს, წერს, რომ მას კიდევ მიაყენა შეურაცხყოფა მისმა მულმა ვ. კაპანაძემ.

20 მარტი... ბლიაძე ამ განცხადებაზე ადებს რეზოლუციას: „მდივანს (იგულისხმება პროკურატურის მდივანი) აცნობეთ რომ მან სახალხო სასამართლოს უნდა მიმართოს განცხადებით“.

29 მარტი... ფრიდონაშვილს აცნობეს. თუმცა ამ თარიღით დაწერილ მიმართვაზე ზესტაფონის ფოსტის 5 აპრილის დამღა აზის, მაგრამ ეს არაფერი.

31 მარტი... ამ თარიღით საქმეშია ქ. ქუთაისის პროკურორის მიმართვა ზესტაფონის რაიონის პროკურორისადმი, ჩვენთან შეცდომით შემოვიდა ქაღალდები ფრიდონაშვილის შესახებ. მაგრამ ეს საქმე ჩვენ არ გვეკუთვნის და გიგზავნითო.

4 აპრილი. იგივე ბუაჩიძე იმავე ბლიაძეს წერს, ამასთან ერთად გეგზავნებათ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და რესპუბლიკის პროკურორის სახელზე შემოსული მოქ. ლ. ფრიდონაშვილის განცხადებანო.

რესპუბლიკის პროკურატურიდან გადაგზავნილი ეს მიმართვა, კაცმა რომ თქვას, მეტად მკვახე ტონით არის დაწერილი. იგი უკომენტაროდ, თავისთავად მეტყველებს ზესტაფონელი პროკურორის თვითნებობაზე, ჩინოვნიკურ გულგრილობაზე, ცოცხალი ადამიანისადმი უხამს მოპყრობაზე, საბჭოთა მოქალაქის აბუჩად აგდებაზე.

მაგრამ აქ უმჯობესია სიტყვასიტყვით მოვიყვანოთ ამონაწერი ამ მიმართვიდან: ...„მიუხედავად რამდენიმე დავალებისა, რომ თქვენ პირადად შეგემოწმებინათ ფრიდონაშვილის განცხადება და კანონის საფუძველზე გადაგეწყვეტათ მისი საჩივარი, თქვენ ასეთის შემოწმება დაავალეთ თქვენს თანაშემწეებს და დღემდე საჩივარი არ გადაგწყვეტიათ...

აღნიშნულიდან გამომდინარე გავალებთ ამ განცხადების საფუძველზე პირადად თქვენ ჩაატაროთ ფრიდონაშვილის საჩივრებში აღნიშნული ყველა საკითხების სრულყოფილი და ობიექტური შემოწმება თვით მომჩივანის დაკითხვით, გამოგზავნეთ სრულყოფილი მოხსენებითი ბარათი 20 აპრილამდე მომჩივანზე გაცემული პასუხის ასლთან ერთად“.

— „ასლიო“! — ჩასწვდა ყურში ზესტაფონის პროკურორს ეს სიტყვა. დანარჩენ მითითებებს კი წაუყოლა და ერთი კალმის მოსმით ასლებად გაამრავლებინა, მარჯვნივ და მარცხნივ დაიგზავნინა მიმართვები.

18 აპრილი... მიცემულ ვადაზე ორი დღით ადრე (აქ კი აკურატულობა გამოჩენა) პროკურორმა ბლიაძემ ასლები გაუგზავნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას, რესპუბლიკის პროკურატურას და მომჩივანს მოქ. ლ. შ. ფრიდონაშვილს და ყველას მისწერა; ამიერიდან ეს საქმე სახალხო სასამართლომ უნდა განიხილოსო.

მორჩა და გათავდა... არც მომჩივანის დაკითხვაა საჭირო და არც მოპასუხის, არც სრულყოფილი მოხსენებითი ბარათია საჭირო. თუმცა რა უნდა ჩაეწერა?!

ასე ფიქრობს პროკურორი, ცოცხალი ადამიანის განცხადება არქივს ჩააბაროს. ამასვე და კიდევ უარს ფიქრობს მოსამართლეც...

პროკურორიცა და მოსამართლეც ამ საქმეს ისე მოეკიდნენ, როგორც გულცივი ჩინოვნიკები, როგორც ჩვენი დროის ფამუსოვები: ცნობილია, რომ ფამუსოვიც ასევე მექანიკურად, ზედ დაუხედავად აწერდა ხელს ქაღალდებს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„საბჭოთა კავშირის ახალი ტრიუმფი“

ლონდონი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). „ახალი საბჭოთა რაკეტები მიზანში ხვდებიან“, „რუსთა ზეგასროლა“ — ასეთი სათაურებით იუწყება ინგლისის პრესა საბჭოთა მრავალსაფეხურიანი რაკეტების წარმატებით გაშვებას წყნარი ოკეანის ცენტრალური ნაწილის რაიონში. „დეილის სკეტჩი“ ამ გამოცდას „საბჭოთა კავშირის ახალ ტრიუმფს“ უწოდებს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ „პირველი გამოცდისთანავე ამ ახალმა დიდმა მრავალსაფეხურიანმა კოსმოსურმა რაკეტამ გაიქროლა 7.500 მილი (12.000 კილომეტრი) და ზუსტად დავარდა მიზანში წყნარ ოკეანეში“.

გაზეთის მიმომხილველები გამოთქვამენ რწმენას, რომ რაკეტების გაშვება დაკავშირებულია შემდგომი კოსმოსური კვლევის პროგრამასთან. „დეილი მეილი“ ამ რაკეტებს უწოდებს „მთვარის“ რაკეტებს. „დეილი ჰერალდის“ მეცნიერი მიმომხილველი ნ. ლოიდი იმოწმებს ავტორიტეტული წრეების აზრს და აცხადებს, რომ რაკეტების გამოცდა იყო „პრელუდია ახალი ეფექტიანი მიღწევებისა კოსმოსში“.

გაზეთები აქვეუნებენ აგრეთვე ცნობას, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა დედამიწის ახალი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-10“.

ჯილდო საგჭოთა კოსმონავტებს

ჰანოი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის ბრძანებულებით საბჭოთა კოსმონავტ მფრინავებს ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევსა და პაველ რომანის-ძე პოპოვიჩს მიენიჭათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის „შრომის გმირის“ წოდება და ამასთან ოქროს ვარსკვლავის მედალი.

წინათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭათ საბჭოთა კოსმონავტ მფრინავებს იური ალექსის-ძე გაგარინსა და გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს.

„ივერიის“ დაბადება

ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავისათვის

ბონი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ქვემო საქსონიის, ჰესენისა და ვესტფალიის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) რვა ათასზე მეტი გლეხი შეიკრიბა გუშინ ტრანსპარანტებით, შავი დროშებითა და სამგლოვიარო ლენტებით მთავრობის მიტინგზე გეტინგენში, რათა პროტესტი განეცხადებინათ „საერთო ბაზრის“ ფარგლებში ბონის მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთ გერმანიის გლეხთა გაღატაკებას იწვევს. როგორც დპას საagენტო იუწყება, გლეხებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანების ფარგლებში დაგეგმილი აქვთ შემცირონ დასავლეთ გერმანიის ხოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასები.

გლეხთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ამას წინათ გამოქვეყნებულმა სოფლის მეურნეობის ექსპერტთა დასკვნამ, რომელნიც ურჩევენ გლეხებს დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მარცვლეულის თესვით და ხელი აიღონ მეცხოველეობაზე.

გლეხთა კავშირის გეტინგენის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვედეკინდმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, ამ დასკვნის ავტორებს დასავლეთ გერმანიის სოფლის მეურნეობის „მესაფლავენი“ უწოდა. მიტინგზე გამოსულმა სხვა ორატორებმა პროტესტი განაცხადეს გათვალისწინებული ფასების შემცირების წინააღმდეგ და მოითხოვეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ კრედიტი მისცეს და დახმარება გაუწიოს გლეხთა მეურნეობებს.

დასავლეთგერმანელი გლეხები პროტესტს აცხადებენ

მთავროგის გადაყენება

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტო იმოწმებს შექის რადიოს ცნობას და იუწყება, რომ საუდის არაბეთის მეფემ გადაყენა მთავრობა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნა თავისი უმცროსი ძმა პრინცი ფეისალი.

დემონსტრაცია რელსებზე

რომი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ვოგეროის (რიდილოეთი იტალია) 400 მუშამ, მოსამსახურემ და სასწავლებლთა მოსწავლეებმა, რომელნიც ყოველ დღე სარგებლობენ რკინიგზის ადგილობრივი შტოთი სამუშაოზე და სასწავლებელში გასამგზავრებლად, მატარებელთა მოძრაობის განრიგის მუდმივი დარღვევის წინააღმდეგ საპროტესტო უჩვეულო დემონსტრაცია მოაწყეს ამ ხაზზე.

ცდილობდნენ რა მიექციათ საზოგადოებრიობის ყურადღება იმისათვის, რომ რკინიგზის უფროსობა აგდებულად ეკიდება მგზავრთა საჭიროებებს, მათ გუშინ დაიკავეს რკინიგზის ლინდგანები და რამდენიმე საათის განმავლობაში შეაჩერეს მატარებელთა მოძრაობა. საპროტესტო დემონსტრაციამ მიიღწია მიზანს: დღეს მის შესახებ წერს ყველა ადგილობრივი გაზეთი.

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). პორტუგალიის 40 ათასიანი კოლონიური არმიით გარშემორტყმული ანგოლელი მეამბოხეები განაგრძობენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტის ჯონ დიკის დამოწმებით, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა ანგოლიდან, აჯანყების პირველ დღეებთან შედარებით მეამბოხეები უკეთ არიან ორგანიზებული და გაცილებით უკეთ აღჭურვილი.

მიუხედავად საყოველთაო დაგმობისა, წერს დიკი, პორტუგალიის მთავრობა, როგორც ჩანს, აპირებს განაგრძოს ანგოლელი ხალხის სასტიკი ჩახშობის პოლიტიკა. როგორც კორესპონდენტს განუცხადა პორტუგალიელმა პოლკოვნიკმა როდრიგესმა, კოლონიზატორები აპირებენ ფართო მასშტაბით გამოიყენონ ამბოხებულთა ძალების წინააღმდეგ ნაპალმის ბომბები.

სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი (მარჯვნივ) და ექს-ჩემპიონი ე. ბიკოვა.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქროსის ფოტოქრონიკა).

ჩემპიონს — დაფნის გვირგვინი

მოსკოვიოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მეტად სასიხარულო დღე ჰქონდა ახალ მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს. დღის განმავლობაში მან ასობით დეპეშა მიიღო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. გულშემატკივრები მხურვალედ ულოცავენ მას ბრწყინვალე გამარჯვებას.

საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე, ნონას პირველი მასწავლებელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე, გამოჩენილი ქართველი პიანისტი ე. ვირსალაძე დილიდანვე მიესალმნენ ნონას, ხოლო გულშემატკივრების წერილებს ხომ ბოლო არა აქვს.

ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი მ. ცალი ნონას ურჩევს ახლა „მამაკაცებს დაერიოს". საინტერესოა ლატვიის უძლიერესი მოჭადრაკე ქალის ზ. ნახიმოვსკაიას დეპეშაც — ნონა! შენ გაიმარჯვე, როგორც ტალმა. ახლა გისურვებ შეინარჩუნო ეს წოდება, როგორც ბოტვინიკმა. გამოჩენილმა მოჭადრაკე ქალმა, ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ლ. ვოლპერტმა ლენინგრადიდან ორი დეპეშა გამოგზავნა. პირველში იგი ახალ მსოფლიოს ჩემპიონს ულოცავს გამარჯვებას, ხოლო მეორეში მსოფლიოს ძველ ჩემპიონს „აამჭიდებს" — ელისაბედ ივანეს ასულო! გულს ნუ გაიტეხ, თვითეულ ჩვენთაგანს იგივე ბედი მოელოდა.

მოსკოვიოს ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი (ბოლო ორი ტურის ჩათვლით) ასეთია: ნონა გაფრინდაშვილი — 11 ქულა, ბ. ბოტვინიკი — 10 ქულა, ლ. ალეხინი — 9 ქულა, ბ. ბელავენეცი — 8 ქულა, ა. ბელავენეცი — 7 ქულა, ა. ბელოვი — 6 ქულა, ა. ბელოვი — 5 ქულა, ა. ბელოვი — 4 ქულა, ა. ბელოვი — 3 ქულა, ა. ბელოვი — 2 ქულა, ა. ბელოვი — 1 ქულა, ა. ბელოვი — 0 ქულა.

ნონამ მიიღო უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი. ბერლინის „ინტერნაციონალეს შპორტ ეხო" წერს — ნონა გაფრინდაშვილი ქალთა ჭადრაკში სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა და მისი წარმატებაც არავის აკვირვებს. ნონას უდიდეს ნიჭზე მეტყველებს თუნდაც მატჩის ანგარიში.

სალამოს 7 საათზე „წითელი პროლეტარის" კლუბში გაიმართა მსოფლიოს პირველობაზე მატჩის საზეიმო დახურვა. საპატიო პრეზიდიუმში არიან — საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი საერთაშორისო არბიტრი და საერთაშორისო ოსტატი ნ. გრუშკოვა-ბელსკა, მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ე. ბიკოვა, მათი მწვრთნელები ოსტატი ე. შიშოვი და ოსტატობის კანდიდატი ე. კოგანი, მთავარი მსაჯის მოადგილე საერთაშორისო არბიტრი ვ. ჩუდოვი და სხვ.

მსოფლიოს ჩემპიონობაზე მატჩის შესახებ სიტყვით გამოვიდა ნ. გრუშკოვა-ბელსკა, რომელმაც აღნიშნა ნონას ბრწყინვალე თამაში და გამარჯვება მიულოცა მას. მსოფლიოს ჩემპიონს მიესალმნენ საკავშირო სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში ი. ბერეზინი, საერთაშორისო ოსტატი ა. კუშნირი და საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის მდივანი თ. გიორგაძე.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის ე. ბიკოვას გამოსვლას. მე პირველად გამოვდივარ ექს-ჩემპიონის როლში — განაცხადა მან — ეს რა თქმა უნდა ჩემთვის სამწუხაროა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემი წოდება უაღრესად ღირსეულ მოჭადრაკეს გადავეცი, მაშინ დასანანი მაინცდამაინც არაფერია.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი. მან მხურვალედ მიულოცა ახალ მსოფლიოს ჩემპიონს და სამაგალითოდ მიიჩნია საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის მუშაობა, რომელმაც ასეთი დიდებული ოსტატი აღზარდა. დასასრულ როდიონოვმა თქვა — საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის დოქტორ ფ. როგარდის (შვეიცია) სახელით მსოფლიოს ჩემპიონად ვაცხადებ ნონა გაფრინდაშვილს და გადასცა მას მსოფლიოს ჩემპიონის თასი. ნონა დაფნის გვირგვინით შეამკეს.

დასასრულ სიტყვა მიეცა ახალ მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს — მე არ ვარ დაჩვეული სიტყვებს, მაგრამ არ შემიძლია მადლობა არ განვუცხადო შეჯიბრების ორგანიზატორებს, მსაჯებს, გულშემატკივრებს და ჩემს მწვრთნელს მ. შიშოვს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემს წარმატებაში. შევიცდები ღირსეულად ვატარო უმაღლესი საჭადრაკო წოდება.

გ. გამრეკელი.

კიდევ ერთი სიცოცხლე

„მედეას" ახალი შემსრულებელები

ალგათ ძნელია მსოფლიო დრამატურგიაში მოიძებნოს სხვა უფრო ტრაგიკული ქალის სახე, ვიდრე ევრიპიდეს მედეაა. ამ კოლხელი ქალის პრობლემა დიდი ხანია აღელვებს მსოფლიოს დრამატულ მწერლობას. ეს გასაგებიც არის. მედეას ცხოვრების ტრაგიკული კოლიზია უმდიდრესი მასალაა სწორედ პიესისათვის.

ქართულ თეატრში ეს თემა ახალი არ არის. ევრიპიდეს „მედეა" კი. პირველად დიდგა მარჯანიშვილის თეატრში. დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში და საქართველოს ფარგლებს გარეთაც. პრლემიერი ხასიათს ეს სპექტაკლი ახლებურად აღიერდა. სამშობლოს მოწყვეტილი ქალის ტრაგიკულმა სულმა ჩვენი მაყურებელიც შეაფიქრიანა და თავისი ქვეყნის სიყვარული კიდევ უფრო გაუცხოველა.

მედეას როლის შემსრულებელს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს ახლა თავისი „ოტელლორიც" გაუჩნდა. მაგრამ ეს არ არის დუბლიორი ჩვეულებრივი. გაგებით. ნამდვილი შემოქმედება. არ არის იქ, სადაც იქმნება ერთი სახის დუბლიკატი. ამიტომ გაგვაკვირა ჩვენ დ. ჭიკნაძის მედეამ, ამიტომ იყო ასე საინტერესო. ეს ორი ქალი ერთ-ერთ ტრაგიკულ ფიგურაზე ამბობენ ერთ-ერთ ტრაგიკულ ფიგურაზე. ეს ორი ქალი ერთ-ერთ ტრაგიკულ ფიგურაზე ამბობენ ერთ-ერთ ტრაგიკულ ფიგურაზე.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „მედეადან", დ. ჭიკნაძე — მედეა, ე. მაღალაშვილი — იასონი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ჭიათურა, 18 ოქტომბერი. (საქდესი). ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს კომკავშირული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას შორის კულტურულ-მასობრივ მუშაობას. მისი ინიციატივით ხმირად ეწყობა ლიტერატურული და მხატვრული კითხვის საღამოები, მკითხველთა კონფერენციები საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა შესახებ. ლექციები მეცნიერულ-პოპულარულ თემებზე. 500-ზე მეტი ახალგაზრდა დაეწერა ლიტერატურულ საღამოს თემაზე „აკაკი წერეთლის სახე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში". ხალხრეკადი აუდიტორია მიიჩიდა მკითხველთა კონფერენციამ გ. აკაკეკის რომანზე „მოსკოვიდან დამორებით".

ამ ამად 125 ახალგაზრდა მუშა მაღაროს ბიბლიოთეკის მუდმივი და აქტიური მკითხველია. ბიბლიოთეკის მუშაკები ეხმარებიან ახალგაზრდა მაღაროელებს ლიტერატურის შერჩევაში. ბევრ მაღაროელს აქვს მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა. მაღაროს ახალგაზრდა ტექნიკოსის ო. ფულარიანის ბიბლიოთეკაში არის 2 ათასი ტომი პოლიტიკური, მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა, ახალგაზრდა ელექტროტექნიკოსის რ. ჩაჩანიძის ბიბლიოთეკაში — 1.500-მდე წიგნი.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ"

ნოვოროსიისკის ახლოს ზღვიდან ამოშვერილი ჩანს მალი სადესანტო ხომალდი, რომელიც ჩაძირულ იქნა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ღღეებში.

— ეს მოხდა ცხრამეტი წლის წინათ, 1943 წლის 8 მარტს, — გვიამბობს მეესმე რანგის კაპიტანი კლიმენტი თევდორეს-ძე კარანაძე. — გერმანელებმა მოაგნეს ჩემს გემს და 17 თვითმფრინავი მოუსიეს. მტრის სანაპირო ბატარეა მან ხმელეთიდან ეხმარებოდა გრიგალისებური ცეცხლით. არ ვიცი, როგორ გადავრჩი მაშინ: ხელში დაჭიოლმა, მკერდზე პისტოლეტმიხუტებულმა ცურვით მიეაღწიე ჩვენებამდე...

ბევრი რამ გადახდომია თავისი სიცოცხლის 62 წლის განმავლობაში ნაცად მეზღვაურს, კომკავშირის ერთ-ერთ წარგზავნილს ფლოტში.

კლიმენტი თევდორეს-ძე დაიბადა ბათუმში, ქველი ბოლშევიკის, ნავსადგურის მტვირთავის ოჯახში. პატარა კლიმენტი ოცნებობდა სწავლაზე, მაგრამ მუშების შვილებს გიმნაზიაში არ იღებდნენ. წვრილშვილი მამის კისერზე ყოფნა კი არ უნდოდა. რა ექნა! როგორ მოქცეულიყო!

გამოჩნდა გულკეთილი ადამიანი, გემ „კაკასიის" კაპიტანი ვასილ ივანეს-ძე კანტუშნი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეხსომება კლიმენტი თევდორეს-ძეს.

— წამომყევი ზღვაში — უთხრა კანტუშნიმ ბიჭს, რომელიც მის შვილთან მეგობრობდა.

ბიჭს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ დღიდან დაიწყო მან ზღვებისა და ოკეანეების გადასერვა. მკაცრ ცხრაას თვრამეტ წელს სევასტოპოლში კარანაძე კომკავშირში შეეფიცა, იბრძოდა თეთრგვარდიელების, დენიკინელების, გაიდამაკების წინააღმდეგ. საზზღვარ დაქირავებულთაგან მაშინ ცხრა ჭრილობა მიიღო. განკურნების შემდეგ იგი შესაბედ გაგზავნეს სახაზო ხომალდ „თავისუფალ რუსეთზე", რომელზეც იმ დროს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის რევოლუციური შტაბი იმყოფებოდა. გადაიტანა სევასტოპოლის, ხოლო შემდეგ ნოვოროსიისკის დაკარგვის სიმწარე. ებრძოდა მეზშეოვ ნაძირალებს. ცხოვრობდა ყალბი პასპორტებით. და მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, დაბრუნდა კლიმენტი თევდორეს-ძე მშობლიურ ბათუმში, სადაც დანიშნულ იქნა ქალაქის სამხედრო კომისრად. მაგრამ დიდი მუშაობისათვის ცოდნა აკლდა. და იგი კომკავშირის საგზურით გაგზავნილ იქნა ფლოტში, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში. სწორედ ამ სასწავლებელმა გაუხსნა მას გზა შორეული ზღვებისაკენ.

ორთქლით მოძრავი სანდალ „მესამე ინტერნაციონალით", გემებით „თავრიდით", „საბჭოთა ნავთობით", „წითელი ფლოტით" და სხვა გემებით შორი ნაოსნობის კაპიტანმა ბევრი ზღვა და ოკეანე მოიარა. ხოლო როცა ფაშისტმა დამპყრობლებმა ომი გააჩაღეს, იგი შავ ზღვაზე საბრძოლო ხომალდების მეთაური გახდა. ძველ ცხრა ჭრილობას ახალი თორმეტი ჭრილობა მიემატა. მაგრამ მძლავრმა ორგანიზმმა გადაიტანა ისინი. იგი კვლავ მწყობრშია, მეთაურობს სადესანტო გემებს. კარანაძემ ოცდაცხრა დიპლომსიანი სადესანტო რეიდი მოახდინა მტრის ზურგში, ოცდამეათე რეისის დროს მისი გემი მოწინააღმდეგემ ნოვოროსიისკთან ჩაძირა.

კლიმენტი თევდორეს-ძე ზღვას არ მშორებია მშვიდობიანი შრომის წლებშიც, თუმცა ძლიერ აწუხებდა ყუმბარის ნამსხვრევი, რომელიც ზედ გულის ქვეშ ჰქონდა ჩარჩენილი. როცა კარანაძე დემობილიზებულ იქნა ავადმყოფობის გამო, მან კვლავ საზღვაო სამსახური ირჩია. გახდა სახაზო ლოცმანი, რომლის ოსტატობასა და ცოდნაზე მრავალი ადამიანის სიცოცხლე და გემის ბედია დამოკიდებული. მას გაჰყავდა გემები დანაღმულ ადგილებში, რომლებიც მაშინ ბევრი იყო შავ ზღვაში.

ჩვენმა ქვეყანამ დიდად დააფასა დამსახურება კომკავშირის ერთ-ერთი პირველი წარგზავნილისა ფლოტში. მას მკერდს უმშვენებს მთავრობის თორმეტი ჯილდო. კლიმენტი თევდორეს-ძე პერსონალური პენსიონერია.

— მაგრამ როცა მითხრეს, „დოსაფის" ჯავშნიან კატარღაზე ადგილი არისო, ძალიან ავიღელდი. რა ექნა, ზღვა მიზიდავს. ადმირალ მაკაროვს კარგად უთქვამს, ზღვაზე შინა ვარ, ნაპირზე კი — სტუმრადო. და კვლავ დავიწყე მუშაობა „დოსაფის" სასწავლო გემის მეთაურად „თბილისის ზღვაზე".

გეკუვანან, ვისგანაც შეეძლია სწავლა ახალგაზრდობას! გეკუვანან, ვისაც შეეძლია ასწავლოს მას!

პ. პეტრუხინი.

სურათზე: კლიმენტი კარანაძე ესაუბრება ახალგაზრდა მეზღვაურებს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

Მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). კომკავშირის პროსპექტი № 41. აქ ცხოვრობს ჩვენი დროის უდიდესი მოჭადრაკე მ. ბოტვინიკი, ჭადრაკის ისტორიაში ისევე განუმეორებელი, როგორებიც დოქტორი ლასკერი, კაპაბლანკა და ალიოხინი იყვნენ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მსოფლიოს ჩემპიონის „ერთი სისუსტე". მას არ უყვარს ფურნალისტებთან შეხვედრა. მიუხედავად ამისა, დღეს მსოფლიოს ჩემპიონმა თვითონ გამოთქვა ამის სურვილი.

ჩვენმა კორესპონდენტმა მას ასეთი კითხვებით მიმართა:

1. რას იტყვით ახალი მსოფლიოს ჩემპიონის, ნ. გაფრინდაშვილის შესახებ?

— ნ. გაფრინდაშვილმა ბრწყინვალედ მოიგო მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. მე მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ ერთხელ კიდევ მივულოცო მას და ყველა ქართველ მოჭადრაკეს. შეიძლება ვუსურვოთ მას მომავალში დაამტკიცოს თავისი ძალა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. ეს, რა თქმა უნდა, უფრო იოლია, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ თავისთავად არც თუ ისე ადვილია.

2. რა არის საჭირო საქართველოში ჭადრაკის აღმავლობისათვის?

— ამ კითხვაზე მე ერთი წლის წინათ დაწერილებითი პასუხი გავეცი გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს. ისევთვე სიყვარულით მოეპყარით თქვენს მოჭადრაკე ვაუებს, როგორც ნონას ექცევით. მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

3. რომელმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა მიიპყრეს თქვენი ყურადღება ვარნის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის დროს?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ამერიკელი გროსმაისტერი ფიშერი, შემდეგ ახალგაზრდა ბულგარელი ოსტატი ტრინგოვი, რომელსაც „ერების ტურნირზე" დიდი წარმატებებისათვის გროსმაისტერის წოდება მიენიჭა. რასაკვირველია აღნიშვნის ღირსია სპასკი.

ᲫᲚᲕᲜᲐᲓ ᲜᲝᲜᲐᲡ

ცნობილმა ქართველმა საჭადრაკო კომპოზიტორმა გ. ნადარეიშვილმა მსოფლიოს ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს უძღვნა თავისი ეტიუდი, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.



თეთრები: მფa8, პ-ბი: a4, d6, g5 (4)
შავები: მფb1, მh8, პ. a3 (3).

თეთრები იწყებენ და იგებენ

1. d6—d7 მh8—f7
და არა 1. ...a2, მაშინ 2. d8ლ a1ლ 3. ლd1+ მფb2 4. ლ:a1 მფ:a1 5. a5 და იგებენ.
2. g5—g6 a3—a2
3. g6:f7 a2—a1ლ
4. d7—d8ლ ლa1:a4+
5. მფa8—b7 ლa4—b3+
ასე უკეთესია. თუ 5. ...ლe4+, მაშინ 6. მფb8! ლb4+, 7. მფc8 ლc4+ 8. ლc7 და იგებენ.
6. ლd8—b6 მფb1—a1!
შავებმა ეს არის დაიწყეს თავი დამარცხებას, მაგრამ თეთრები პოულობენ
7. f7—f8ე!! და იგებენ
თუ 7. ლ:b3?, მაშინ პატი. ან თუ 7. f8ლ?, მაშინ 7. ... ლf7+! 8. ლ:f7 და ისევ პატი.

ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲭᲘᲗ

ანდაზა ამბობს: უქმად ჯდომას უქმად სიარული სჯობსო. ამ გამოთქმის სიბრძნე და ჰეშმარიტება თავის თავზე გამოსცადა ალექსანდრე ჭყონიამ. ორმოცდაათს ისე გადაბიჯა, საქმით და ზრუნვით დიდად დატვირთული არასოდეს არ ყოფილა. ცოლი არ აწუხებდა და შვილი, თავი რატომ უნდა შეეწუხებინა შრომითა და ჯაფით. ცხოვრობდა ჩიტივით თავისუფალი და უდარდელი. ასეთ კაცს, მოგეხსენებათ, უქმად ჯდომაც ბევრი მოუწევდა და უქმად სიარულიც. ჰოდა სწორედ პირადმა გამოცდილებამ დაარწმუნა ალექსანდრე, რომ უქმად ჯდომისას არავინ არაფერს მოგიტანს და ჩაგიდებს პირში, ხოლო უქმად სიარულში იქნებ რამეს გადაეყაროო სასარგებლოს და საგულისხმოს.

იმ დღესაც ხალხურ სიბრძნეს და საკუთარ გამოცდილებას დაემორჩილა ალექსანდრე. მახარაძეში სტუმრად მყოფი აღრიანად გამოვიდა სახლიდან და ალმა-დალმა დაუყვა ქალაქის ქუჩებს უსაქმური კაცის ნაბიჯით. იმდენი იარა, ბოლოს მართლაც აიხდინა ანდაზა. პოლიკლინიკასთან ერთ ძველ ნაცნობს მოჰკრა თვალი.

— შოთა, გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს, — უხალისოდ გამოეპასუხა ნაცნობი.

— შოთა არა ხარ, კაცო, შენ?

— კი, შოთა ვარ, თუ ჩემს ყოფნას ყოფნა ჰქვია.

— მერე მე ვერ მიცანი? ალექსანდრე ვარ, ჭყონია, ბუჭულას მეძახდნენ ახალგაზრდობაში, გაგახსენდი ხომ? რას მვრეი, რავა ხარ?

— ეჰ, ჩემს ამბავს ნუ იკითხავ...

— რა იყო, ხომ არაფერი გიჭირს?

— მეტი რაღა გამიჭირდება, პატიმარი ვარ. ახლა აგერ პოლიკლინიკაში სამკურნალოდ გამომგზავნეს ციხიდან, ავად გავხდი.

— პატიმარი ხარ?.. აუ, არ ამოგიგდია ოჯახი! რა შეგხვდა ისეთი, რაზე ჩავარდი?

— მაგი გრძელი ისტორიაა, ჩემო ბუჭულ.

— მომიყევი, კაცო, იქნებ დაგეხმარო რამე.

— ვინ მაცლის ამდენ ლაპარაკს. ჩემი ცოლია აგერ, ეგ მოგიყვება ყველაფერს, თუ რამე შეგიძლია და მომეხმარები, შენ ეცი.

დატრიალდა ბუჭულა, მაშინვე მოელაპარაკა შოთას მეუღლეს, გაიკითხ-გამოიკითხა საქმის ვითარება, დაამშვიდა ქირისუფალი და პატიმარსაც იმედიანი სიტყვა მიაწვდინა:

— ფიქრი ნუ გაქვს, მალე გამოგიყვანთ ციხიდან, პროკურატურაში გამომძიებელთან ვაკეთებ საქმეს, ოღონდ ცოტა ფული კი უნდა შევაგროვოთ ნათესაობაში იმ კაცის პატივსაცემად.

იმდენთა და სიხარულით აღივსნენ პატიმრის მეუღლე, დები, ძმები, თავი არ დაზოგეს და 550 მანეთი შეკრიბეს „იმ კაცის" პატივსაცემად. აღიეს ეს თანხა და ბუჭულა-ალექსანდრე ჭყონიას ხელით გაუგზავნეს „იმ კაცს".

გავიდა ხანი. პატიმარს დღედღეზე შინ ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. ზოთა გასამართლეს და სასჯელი დაადეს, ფული კი დაიკარგა.

ახლა ფულის ამოგებაზე დასჭირდათ პატიმრის ნათესავებს პროკურატურასა და სასამართლოში სირბილი. ბოლოს ყველაფერი დადგინდა და დადასტურდა: ალექსანდრე ჭყონიამ შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და ფული გამოსტყუა ამ ხალხს.

ამჟამად ალექსანდრე პატიმრობაშია, ალბათ ახლა უკვე უფრო კრიტიკულად ეკიდება ანდაზებს და გულში ფიქრობს: „არა, ძმაო, არც უქმად ჯდომა ვარგებულა, არც უქმად სიარული ყოფილა ბევრად უკეთესი. უსაქმო კაცი ყოველგვარ სიგლახეს გადაეყრება, შრომა, პატიოსანი შრომა ყველაფერს სჯობნებია". ოღონდაც რომ ასეა, მაგრამ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, ორმოცდაათი წლის ასაკამდე რომ ვერ ჩასწვდება კაცი, არ არის კარგი.

გ. მეგრელიშვილი.

საქ. სს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების გამგე.

მ. მიქაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 7:1

ᲤᲘᲓᲘᲐᲜᲘᲡ თბილისელი მოყვარულები ინტერესით მოელოდნენ საერთაშორისო შეხვედრას კლასიკურ ჭიდაობაში იტალიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის, რადგან სტუმართა რიგებში იყვნენ ამ ქვეყნის ჩემპიონები, ოლიმპიური ასპარეზობაში მონაწილეები.

ეს ასპარეზობა გაიმართა გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში. მას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. გუნდური ჩათვლის შეხვედრებად მოიწყო სხვადასხვა წონითი კატეგორიის სამი წყვილის ხაჩეხებელი გამოსვლა. ამ შეხვედრებიდან ორში გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — უგრუხელიძემ და ბალანჩივაძემ, ხოლო ბლაძემ შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

ამის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ გუნდურ ჩათვლაში მონაწილე მოჭიდავეები.

უმჩატეს წონაში სტუმრებს მეტოქე არ გამოუყვანიათ და დამარცხება ჩაეთვალათ. მჩატე წონაში ეგაძეს სუსტად ჩაატარა უკანასკნელ წუთებამდე ბრძოლა გრიმელინის წინააღმდეგ და აშკარა დამარცხების წინაშე იდგა, მაგრამ ბოლოს მან შეძლო ეფექტური ილეთის გაკეთება და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ძლიერად ჩაატარა შეხვედრა ქვემსუბუქ წონაში რურუამ რონკარატის წინააღმდეგ, ილეთს ილეთი მოსდევდა და გაიმარჯვა აშკარა უპირატესობით. მომდევნო წონაში ღუღუმაურმა ქულებით დაამარცხა მორანდინი.

ქვესაშუალო წონაში საქართველოს გუნდის წარმომადგენელს დათუსანს უპირატესობა ჰქონდა ბენეტეტის წინააღმდეგ, მაგრამ მოულოდნელად მოჰყვა მოწინააღმდეგის მარწუხებში და დამარცხება განიცადა. საშუალო წონაში გეველესიანმა მოუგო ძანტას, ქვემძიმე წონაში აბაშიძეს — ბულგარელს, მძიმე წონაში ხითარიშვილმა — მარკუჩის.

ამრიგად, საქართველოსა და იტალიის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მატჩის შედეგია 7:1 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ფინალური ჯგუფის გუნდების მეხუთე ტურის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ბაქოს „ნეფტიანიკის" გუნდები. მატჩი მომდინარეობდა თოვლსა და წვიმაში. შეხვედრის შედეგია — 3:2 ცსკა-ს სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება მეხუთე ტურის კიდევ სამი მატჩი. ლენინგრადში თბილისის „დინამო" შეხვდება ადგილობრივ „ზენიტს". დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე ითამაშებს ტაშკენტის „პახტაკორის" წინააღმდეგ. მოსკოვის „სპარტაკი" შეხვდება კიშინიოვის „მოლდოვას".

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გადამაშების ფინალური ტურნირის მორიგი შეხვედრები წყალბურთში.

მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს „შრომითი რეზერვების" გუნდი ანგარიშით 5:2 და ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. თბილისის „დინამომ" მძაფრ ბრძოლაში მოუგო ვმფ-ის 3:2 და მეორე ადგილზე იმყოფება. ამავე ტურში ლენინგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა ლვოვის „დინამო" 4:3, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა — ლენინგრადის „ბალტიკა" 4:2.

„ᲛᲗᲐᲕᲐᲠ" ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲡ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

კიევი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). კვლავ წარმატება მოიპოვეს საბჭოთა მსროლელებმა მსოფლიო ჩემპიონატში. მათ 4.534 ქულა მოაგროვეს ნებისმიერი შაშხანის სროლაში და გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო მოსკოველმა ვლადიმერ ვედოკიმოვმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა პირად პირველობაში.

პირველად ჩვენს მსროლელებს ბედი არ წყალობდა. წოლილა მდგომარეობიდან სროლაში საუკეთესო აღმოჩნდა ამერიკელი ანდერსონი.

ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში ჩვენს სპორტსმენს არ გაუმარჯვია. ყველაზე მეტი ქულა — 385 მოაგროვა შვეიცარიელმა კურტ მიულერმა. მხოლოდ მესამე იყო ვ. ვედოკიმოვი.

დასასრულ სპორტსმენები დგომელა მდგომარეობიდან ისროდნენ. აქ ჩვენმა ოსტატმა მსროლელებმა მთელი ძალღონე იხმარეს, რათა გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა. ეს მათ შეძლეს. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონთა წოდება.

მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ანდერსონი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲗᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში შედგა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის პირველი შეხვედრები ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის. სულ გაიმართა 9 მატჩი.

საინტერესო გამოდგა სსრ კავშირისა და იაპონიის ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. მძაფრ ბრძოლაში ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული კიდევ ორ შეხვედრაში. ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს ბრაზილიის გუნდს, რუმინელებმა — ჩინეთის გუნდს.

სსრ კავშირის ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:0 დამარცხა ჩინეთის გუნდი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

დ. მᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲬᲘᲚᲝᲕᲘᲖᲘᲐ

19 ოქტომბერი

18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ქარის წისქვილი", 19.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „როცა პროპაგანდისტი მოწოდების სიმაღლეზეა", 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა — „ლენინ მუსხელიშვილი", 20.05 — კინოეურხალი, 20.15 — ქართული ესტრადის საღამო, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „რა ახალგაზრდები ვიყავით".

20 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.00 — საათის რეკვა, 06.03—უკანასკნელი ცნობები, 06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — დილის ვარჯიში, 06.40 — სიმფონიური სიცეკვაკეები, 06.50 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, 07.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 07.40 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 08.15 — ჭალაქის ქსელით — განცხადებები, რადიოსადგურებით — მუსიკალური ანტრაქტი, 08.30 — კონცერტი ლევიტინისა და ცფსმანის ნაწარმოებებიდან, 09.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 09.10 — კონცერტი — „საყვარელი სიმღერები", 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.40 — მუსიკალური ანტრაქტი, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 10.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.10 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 12.00 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი შუქურა". ნარკვევი: „მთების გულში", 12.10 — კონცერტი, 13.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება", 14.00 — ტრანსლაცია მოსკ